

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

### ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

14 აპრილი 2021 წელი

13:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, დავით ხარძეიშვილი, დავით ადეიშვილი, შოთა გიორგაძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი, გაია ოჩიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გაია ხარაბაძე, პაატა ხურციძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** ბიჭიკო პაიკიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

**მოწვეული პირი:** ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

### დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის“ თაობაზე.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

2. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებული N12 ქუჩისთვის მწერლისა და პუბლიცისტის „ნიკოლოზ აგიაშვილი“ სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებში ცვლილებების შესახებ..

მომხსენებელმა განმარტა, რომ შერჩეულ პროექტებში განხორციელდა ცვლილება კერძოდ: მუქედის ადმინტრაციულ ერთეულში „სპორტული ინვენტარის შეძენა“ შეიცვალა პროექტით „საბავშვო ატრაქციონის და სპორტული ინვენტარის შეძენა“.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ კომისიას წარუდგინა დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებული N12 ქუჩისთვის მწერლისა და პუბლიცისტის „ნიკოლოზ აგიაშვილი“ სახელის მინიჭების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კომისიის დასკვნა მიზანშეწონილობის შესახებ, რაც კომისიის წევრებმა დაადასრურეს შესაბამის დაკვნაზე ხელის მოწერით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გიგა გოგიბერიძე**

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე